სსიპ – ანტიკორუფციული ბიუროს უფროსობის კანდიდატების შესარჩევი

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება №2

სსიპ – ანტიკორუფციული ბიუროს უფროსობის კანდიდატების შესარჩევი

საკონკურსო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე

ქ. თბილისი *2023 წლის 10 იანვარი*

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის 20[16] მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს სსიპ – ანტიკორუფციული ბიუროს უფროსობის კანდიდატების შესარჩევი საკონკურსო კომისიის დებულება.

2. ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლისთანავე სსიპ – ანტიკორუფციული ბიუროს უფროსობის კანდიდატების შესარჩევმა საკონკურსო კომისიამ უზრუნველყოს კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა შესრულება.

3. გადაწყვეტილება ძალაშია სსიპ – ანტიკორუფციული ბიუროს უფროსობის კანდიდატების შესარჩევი საკონკურსო კომისიის წევრების (სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობის) მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

სსიპ – ანტიკორუფციული ბიუროს უფროსობის კანდიდატების შესარჩევი საკონკურსო კომისიის წევრები:

რევაზ ჯაველიძე – საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი, საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე;

მიხეილ სარჯველაძე – საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე;

ანრი ოხანაშვილი – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე;

გიორგი მიქაუტაძე – საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე;

ბაკურ აბულაძე – საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე;

თამარ გვარამაძე – საქართველოს სახალხო დამცველის მოვალეობის შემსრულებელი/საქართველოს სახალხო დამცველის პირველი მოადგილე, საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი;

ალექსანდრე ქევხიშვილი – ა(ა)იპ – საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს თანამშრომელი, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა წარმომადგენელი.

დამტკიცებულია სსიპ – ანტიკორუფციული ბიუროს უფროსობის კანდიდატების შესარჩევი საკონკურსო კომისიის 2023 წლის 10 იანვრის №2 გადაწყვეტილებით

სსიპ – ანტიკორუფციული ბიუროს

უფროსობის კანდიდატების შესარჩევი საკონკურსო კომისიის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს სსიპ – ანტიკორუფციული ბიუროს უფროსობის (შემდგომში – ბიუროს უფროსი) კანდიდატების შესარჩევი საკონკურსო კომისიის (შემდგომში – კომისია) საქმიანობის წესს, კონკურსში მონაწილეობის პირობებს, კომისიისათვის ბიუროს უფროსის კანდიდატურების წარდგენის ვადასა და წესს.

2. კომისია შექმნილია საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2022 წლის 22 დეკემბრის №289 ბრძანებით, ხოლო შემადგენლობა დამტკიცებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2022 წლის 30 დეკემბრის №304 ბრძანებით, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

3. კომისია თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით და ამ დებულებით.

მუხლი 2. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია ბიუროს უფროსის თანამდებობის დასაკავებლად, კანონით დადგენილ მოთხოვნათა გათვალისწინებით, შესაბამისი კანდიდატების შერჩევა და საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის წარდგენა.

მუხლი 3. კონკურსში მონაწილეობის პირობების თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნება

1. „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის 20[16] მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, კომისია პირველი სხდომის გამართვიდან 1 კვირის ვადაში უზრუნველყოფს კონკურსში მონაწილეობის პირობებისა და კონკურსში მონაწილეობისთვის საჭირო განცხადების წარდგენის ვადისა და წესის შესახებ ინფორმაციის საქართველოს მთავრობის ვებგვერდზე გამოქვეყნებას. კონკურსში მონაწილეობის პირობების თაობაზე ინფორმაცია, ასევე ქვეყნდება სსიპ – საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე – www.hr.gov.ge-ზე, რომლის მეშვეობითაც განხორციელდება ამ დებულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული კონკურსისთვის წარმოსადგენი დოკუმენტების მიღება.

2. კონკურსში მონაწილეობის პირობების თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნების კონკრეტულ თარიღთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს კომისია ამ დებულებით დადგენილი წესით.

3. კონკურსის შესახებ შეტყობინება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) ვაკანტური თანამდებობის დასახელებას;

ბ) კანდიდატის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს;

გ) იმ დოკუმენტების ჩამონათვალს, რომლებიც კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადებას უნდა დაერთოს;

დ) განცხადებისა და სხვა აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადას;

ე) კომისიის მისამართს, ელექტრონული ფოსტის მისამართსა და საკონტაქტო ტელეფონის ნომერს;

ვ) ინფორმაციას კონკურსის ეტაპების შესახებ.

მუხლი 4. კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე პირები

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც არ არის ნასამართლევი და აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, გააჩნია მართლმსაჯულების ან სამართალდამცავი ორგანოების სისტემაში ან ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება და მაღალი პროფესიული და მორალური რეპუტაცია.

მუხლი 5. კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტები

1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება, რომელიც შეიცავს კანდიდატის Curriculum Vitae-ს (CV);

ბ) სამოტივაციო წერილი, რომელშიც ასახულია მისი ბიუროს უფროსის თანამდებობაზე დანიშვნის მოტივაცია და ბიუროს განვითარებისა და ეფექტიანობის გაზრდის შესახებ ზოგადი თვალთახედვა;

გ) ბიუროს უფროსის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ თანხმობა;

დ) თანხმობა, კანდიდატის შერჩევის პროცესში მონაწილე თანამდებობის პირების მხრიდან კანდიდატის შესახებ საჭირო ინფორმაცია/დოკუმენტის მოიძიება/გადამოწმების თაობაზე;

ე) უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი, უცხო ენაზე შესრულებული დოკუმენტის შემთხვევაში, ქართულ ენაზე ნათარგმნი და კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი;

ვ) მართლმსაჯულების ან სამართალდამცავი ორგანოების სისტემაში ან ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არანაკლებ 5 წლის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ზ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

თ) ნასამართლობის ცნობა;

ი) მის მიერ წარდგენილი ან ბიუროს უფროსის თანამდებობაზე დანიშვნის მიზნისთვის მის შესახებ მოძიებული ინფორმაციის, დოკუმენტებისა და გასაუბრების ჩანაწერის გასაჯაროებაზე თანხმობა ან უარი; ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის და დოკუმენტების გასაჯაროების უარის თქმის შემთხვევაში, კომისია მათი გასაჯაროების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

კ) კანდიდატს უფლება აქვს წარადგინოს ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელიც ასახავს მის სამუშაო გამოცდილებას, პროფესიულ და მორალურ რეპუტაციასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტებისა, კომისია უფლებამოსილია საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, კანდიდატს მოსთხოვოს გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი სხვა დოკუმენტების წარდგენა, ან მოიძიოს/გადაამოწმოს კანდიდატის შესახებ საჭირო ინფორმაცია/დოკუმენტი კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაზეც კანდიდატი წინასწარ წარმოადგენს ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ თანხმობას.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტები წარდგენილ უნდა იქნეს კონკურსში მონაწილეობის პირობების თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნებიდან არა

უგვიანეს 10 სამუშაო დღისა. ამ ვადაში ჩაითვალოს კონკურსში მონაწილეობის პირობების თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნების დღეც.

მუხლი 6. კონკურსის ჩატარების ეტაპები

კონკურსი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) განცხადებების გადარჩევა (ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა);

ბ) გასაუბრება.

მუხლი 7. კომისიის ფუნქცია და საქმიანობის წესი

1. კომისიის ფუნქციაა, დასაკავებელ თანამდებობასთან კანდიდატების შესაბამისობის შეფასების შედეგად, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ბიუროს უფროსობის კანდიდატების შერჩევა.

2. კომისიის საქმიანობას ხელმძღვანელობს და ორგანიზებას უწევს კომისიის თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს კომისია თავის წევრთაგან პირველ სხდომაზე. კომისიის თავმჯდომარე იწვევს და უძღვება კომისიის სხდომებს.

3. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა. კომისიის გადაწყვეტილებები მიიღება ღია კენჭისყრით, კომისიის სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და სურვილის შემთხვევაში კომისიის სხვა წევრი.

4. კომისიის საქმიანობასა და კონკურსთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, რომლებიც მოწესრიგებული არ არის ამ დებულებით ან სხვა სათანადო სამართლებრივი აქტით, წყვეტს კომისია.

5. კომისიის თავმჯდომარის ინიციატივით, კომისიის სხდომები შესაძლებელია წარიმართოს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით.

6. კონკურსში მონაწილეობისთვის საჭირო განაცხადების წარდგენის ვადის ამოწურვისთანავე კომისია ამოწმებს კონკურსში მონაწილეობის შესახებ წარდგენილი განაცხადებისა და თანდართული დოკუმენტების ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობას, რის შემდეგაც, იწყებს კანდიდატთა მოსმენას (გასაუბრებას). კომისია კომისიის სხდომაზე უსმენს მხოლოდ იმ კანდიდატებს, რომელთა მიერ წარდგენილი განცხადებები და თანდართული დოკუმენტები ფორმალურ მოთხოვნებს შეესაბამება.

7. კონკურსში მონაწილეობისთვის საჭირო განაცხადების წარდგენის ვადის გასვლიდან 2 კვირაში კომისია დაასრულებს კანდიდატთა მოსმენას და იღებს გადაწყვეტილებას კონკურსში მონაწილე არანაკლებ 2 და არა უმეტეს 5 კანდიდატის შერჩევისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის წარდგენის თაობაზე.

8. კომისიის წევრს უფლება აქვს, კანდიდატთა შერჩევისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის წარდგენის თაობაზე მიღებულ კომისიის გადაწყვეტილებას წერილობით დაურთოს თავისი განსხვავებული აზრი. ეს განსხვავებული აზრი შერჩეული კანდიდატების წარდგენისთანავე ეგზავნება საქართველოს პრემიერ-მინისტრს.

9. თუ კონკურსში მონაწილეობისთვის საჭირო განაცხადების წარდგენის ვადაში კომისიას არ წარედგინა 2 ან 2-ზე მეტი განაცხადი ან კომისიამ საქართველოს პრემიერ-მინისტრს კონკურსში მონაწილე პირთაგან ბიუროს უფროსობის არანაკლებ 2 და არა უმეტეს 5 კანდიდატი ვერ წარუდგინა, კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსში მონაწილეობისთვის საჭირო განაცხადების წარდგენის ვადის გაგრძელების შესახებ, რის შემდეგაც ამ მუხლის მე-7 და მე-9 პუნქტებით დადგენილი პროცედურები ხელახლა ტარდება.

10. თუ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიუროს უფროსი თანამდებობაზე არ დანიშნა „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ვადაში, კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსში მონაწილეობისთვის საჭირო განაცხადების წარდგენის ვადის გაგრძელების შესახებ, რის შემდეგაც ამ მუხლის მე-7 და მე-9 პუნქტებით დადგენილი პროცედურები ხელახლა ტარდება.

11. კომისიასთან იქმნება სამდივნო, რომელიც უზრუნველყოფს კომისიის საქმიანობის ადმინისტრირებას და ორგანიზაციულ მხარდაჭერას, მათ შორის, უზრუნველყოფს კომისიის საქმისწარმოებას, კომისიის სხდომის მომზადებას და სხდომის ოქმის შედგენას, აგრეთვე კომისიის თავმჯდომარის ცალკეული დავალებების შესრულებას. კომისიის სამდივნოს ფუნქციას ასრულებს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური.